სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 67 02.12.2012 წ.

(cpv 50112200 მანქანის ტექნიკური მომსახურება; cpv 09211100 ძრავის ზეთები; cpv 42913300 ზეთის, ჰაერისა და ბენზინის ფილტრები;)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3.„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4.„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5.„დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბადრი თოიძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ – **შპს „ თამაზუკა"ს დირექტორი კახაბერ მელაძის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი). ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3.ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ანსამბლის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საჭიროებისათვის **6 ლიტრი ძრავის ძეთის (1ლ ფასი 10 ლ.), 3 ც. ბენზინის, ჰაერისა და ზეთის ფილტრების** შესყიდვა და ანსამბლის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების **ტექნიკური მომსახურება**, საკუთარი შემოსავლებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემჭიდროვებულ ვადებში.

4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ნივთის ღიღებულებაა 122 (ასოცდაორი) ლარი.
4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.

5. გასაწევი მომსახურების შესაბამისობა
5.1.მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გასაწევი მომსახურება და შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

6. მიღება-ჩაბარების წესი
6.1.შემსყიდველი მომსახურების მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
6.2.მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.3. ამ ხელშეკრულების **ძალით გაწეული მომსახურების** შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის **ადმინისტრატორი** ამირან თოიძე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების 3.1 პუნქტით **გათვალისწინებული** მომსახურება განახორციელოს 02.12.2012წ. –05.12.2012 წ. ვადებში;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს **ამ ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან **ნაკლის** აღმოფხვრა;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) სამუშაოს ჩაბარების ვადები **განსაზღვროს** მიმწოდებელთან შეთანხმებით;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს **მიმწოდებელს** გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

8. ფორს-მაჟორი

8.1.ხელშეკრულების პირობების ან **რომელიმე** მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე.

9.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

9.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 05 დეკემბრის ჩათვლით.

12.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

მისამართი: რუსთავი, XII მკ/რ-ნი ტელ: 2 23 64 66 ბანკი: საქართველოს ბანკის ც/ფილიალი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ.№ GEO4BG0000000300472400 საიდ. კოდი № 216297433

შპს „თამაზუკა" (ს/კ **416291186**) მის: ს ქ. რუსთავი, XX მ/რ, ლეონიძის ქ. მ/ტ; ს/ს პრივატ ბანკი, ბანკის კოდი CAVOGE22, ანგ. # GE91TP0036020020001849

შემსიდველის ხელმოწერა _____ *ბადრი თოიძე*

მიმწოდებელის *ხელმოწერა* _____ *კახაბერ მელაძე*